

თავი II

2015 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის იანვარ-მარტში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 3.2 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 0.5 პროცენტი, თებერვალში 4.9 პროცენტი, ხოლო მარტში 4.3 პროცენტი დაფიქსირდა.

ფასები

2015 წლის მარტში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 1.5 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის მარტში 2014 წლის მარტთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.6 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 3.5 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები სურსათი და უალკოჰოლო სასმელებმა 1.2 და ჯანდაცვამ 0.6 პროცენტული პუნქტით გაზარდა, ხოლო ტრანსპორტმა 0.8 პროცენტული პუნქტით შეამცირა.

გაცვლითი კურსი

2015 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა. 2015 წლის მარტში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 16.3 პროცენტით გაუფასურდა და 2.192 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, გაუფასურდა 4.0 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2015 წლის მარტში 2014 წლის მარტთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 21.2 პროცენტით გაიზარდა და 11 581.2 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 9.2 პროცენტით და 5 485.2 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2015 წლის იანვარ-მარტში მთლიანი დეპოზიტები 5.0 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 8.9 პროცენტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 15.5 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 5.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 62.8 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხებით დოლარიზაციის კოეფიციენტი და 63.7 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-მარტში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით შემცირდა და 2 279 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 503 მლნ

აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 1 776 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 28 პროცენტით და 3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2015 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 15.8 პროცენტს შეადგენდა. მას მოსდევს აზერბაიჯანი 9.4, ჩინეთი 8.4, რუსეთი 7.5, გერმანია 6.0 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.6 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე ბულგარეთი 10.3 პროცენტით, მესამეზე თურქეთი 8.1 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 6.7 პროცენტით და ა.შ. იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 18.0 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი 9.5 პროცენტი, აზერბაიჯანი 8.5 პროცენტი, რუსეთი 8.0 პროცენტი და ა.შ.

ცვლილება მოხდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 12.2 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 11.5 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 10.3 პროცენტი, ფეროშენადნობები 9.6 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 5.0 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.4 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 7.6 პროცენტი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები 7.3 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 3.9 პროცენტი და ა.შ.

აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირში ექსპორტი გაიზარდა 21.1 პროცენტით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში 55.3 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტი შემცირდა დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 986 490,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 079 991,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,7%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 845 500,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 890 591,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 578,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 58 184,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 130,5%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 96 412,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 131 215,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 136,1%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 74 978,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 500,0 ათასი ლარი) 517,1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 10 597,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 400,0 ათასი ლარი) 126,2%-ია.

**2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	1,986,490.1	2,079,991.6	93,501.5	104.7
გადასახადები	1,845,500.0	1,890,591.7	45,091.7	102.4
საშემოსავლო გადასახადი	504,900.0	498,060.0	-6,840.0	98.6
მოგების გადასახადი	286,900.0	318,901.8	32,001.8	111.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	799,900.0	848,637.8	48,737.8	106.1
აქციზი	193,200.0	176,898.5	-16,301.5	91.6
იმპორტის გადასახადი	25,800.0	17,730.0	-8,070.0	68.7
ქონების გადასახადი	28,700.0	24,420.0	-4,280.0	85.1
სხვა გადასახადი	6,100.0	5,943.6	-156.4	97.4
გრანტები	44,578.1	58,184.2	13,606.1	130.5
სხვა შემოსავლები	96,412.0	131,215.6	34,803.6	136.1

**ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსავლების შესრულების შესახებ**

2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 870 058,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 951 140,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,3%.

**2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	1,870,058.1	1,951,140.7	81,082.6	104.3
გადასახადები	1,780,000.0	1,828,464.7	48,464.7	102.7
გრანტები	44,578.1	58,184.2	13,606.1	130.5
სხვა შემოსავლები	45,480.0	64,491.8	19,011.8	141.8

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 780 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 828 464,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,7%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 460 380,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (468 100,0 ათასი ლარი) 98,4%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 318 901,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (286 900,0 ათასი ლარი) 111,2%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 848 637,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (799 900,0 ათასი ლარი) 106,1%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 176 898,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (193 200,0 ათასი ლარი) 91,6%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 17 730,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 800,0 ათასი ლარი) 68,7%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 5 915,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 100,0 ათასი ლარი) 97,0%-ია.

2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
გადასახადები	1,780,000.0	1,828,464.7	48,464.7	102.7
საშემოსავლო გადასახადი	468,100.0	460,380.8	-7,719.2	98.4
მოგების გადასახადი	286,900.0	318,901.8	32,001.8	111.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	799,900.0	848,637.8	48,737.8	106.1
აქციზი	193,200.0	176,898.5	-16,301.5	91.6
იმპორტის გადასახადი	25,800.0	17,730.0	-8,070.0	68.7
სხვა გადასახადი	6,100.0	5,915.7	-184.3	97.0

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 578,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 58 184.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 130.5%.

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	58,184.2
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	29,971.2
საინვესტიციო გრანტები	19,376.6
EC	176.0
SIDA	131.5
IFAD	16.3
KfW	6,160.5
MCC	6,254.3
USAID	6,637.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	8,836.4

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 480,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 64 491.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 141.8%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 11 603,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 000,0 ათასი ლარი) 105,5%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 11 359,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 500,0 ათასი ლარი) 108,2%-ს შეადგენს.
 - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 17,5 ათასი ლარი.
 - **რენტის** სახით მობილიზებულია 226,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500,0 ათასი ლარი) 45,3%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 15 239,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 080,0 ათასი ლარი) 101,1%-ია. აქედან,
 - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 14 324,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 540,0 ათასი ლარი) 98,5%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 159,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (300,0 ათასი ლარი) 53,1%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 9 575,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 000,0 ათასი ლარი) 95,7%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 360,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (210,0 ათასი ლარი) 171,5%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 3 382,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 500,0 ათასი ლარი) 96,6%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 569,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (320,0 ათასი ლარი) 177,8%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 165,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150,0 ათასი ლარი) 110,5%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 112,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60,0 ათასი ლარი) 187,9%-ია.
 - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 915,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (540,0 ათასი ლარი) 169,5%-ია. მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 76,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30,0 ათასი ლარი) 254,6%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 810,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (510,0 ათასი ლარი) 158,8%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 13 485,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 000,0 ათასი ლარი) 96,3%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 2 004,1 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 22 159,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 400,0 ათასი ლარი) 410,4%-ია. აქედან, გზატარებლობის საფასურით მიღებული შემოსავალი შეადგენს 12 678,8 ათას ლარს, ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 7 144,0 ათას ლარს.

**2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	45,480.0	64,491.8	19,011.8	141.8
შემოსავლები საკუთრებიდან	11,000.0	11,603.2	603.2	105.5
პროცენტები	10,500.0	11,359.1	859.1	108.2
დივიდენდები		17.5	17.5	
რენტა	500.0	226.6	-273.4	45.3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	15,080.0	15,239.7	159.7	101.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	14,540.0	14,324.2	-215.8	98.5
სალიცენზიო მოსაკრებლები	300.0	159.4	-140.6	53.1
სანებართვო მოსაკრებლები	10,000.0	9,575.0	-425.0	95.7
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	210.0	360.2	150.2	171.5
სახელმწიფო ბაჟი	3,500.0	3,382.3	-117.7	96.6
საკონსულო მოსაკრებელი	320.0	569.0	249.0	177.8
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	150.0	165.7	15.7	110.5
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	60.0	112.7	52.7	187.9
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	540.0	915.5	375.5	169.5
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	30.0	76.4	46.4	254.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	510.0	810.1	300.1	158.8
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		29.0	29.0	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	14,000.0	13,485.7	-514.3	96.3
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		2,004.1	2,004.1	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5,400.0	22,159.0	16,759.0	410.4

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 63 210,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 500,0 ათასი ლარი) 602,0%-ია. აქედან, შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან შეადგენს 45 179,4 ათას ლარს (შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის და შპს მაგთიკომის მიერ ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის თანხები).

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 10 552,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 400,0 ათასი ლარი) 125,6%-ია.